

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული  
სააგენტოს  
გენერალური დირექტორი

10 თებერვალი 2016წ.

ბრძანება № 2/27

ქ. თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის  
კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების  
თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი  
დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“  
51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის  
მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის  
ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის  
გაფორმებული 2015 წლის 30 ოქტომბრის №02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების  
პირველი მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:




1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ  
ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს.
2. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული  
სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში  
მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.




ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან  
ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში  
(მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N4).

გენერალური დირექტორი



ნიკოლოზ ანთიძე

	<p>ასათიანების ციხე</p>	<p>წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. დერჩი</p>	<p>არქიტექტურის / არქეოლოგიური</p>	<p>შუა საუკუნეები</p>
	<p>ასათიანების სახლი</p>	<p>წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. დერჩი</p>	<p>არქიტექტურის / მემორიალური</p>	<p>XIX ს-ის ბოლო</p>
	<p>ნაციხარი</p>	<p>წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. დერჩი</p>	<p>არქიტექტურის / არქეოლოგიური</p>	<p>შუა საუკუნეები</p>
	<p>გიორგი ახვლედიანის სახელობის სახლ-მუზეუმი</p>	<p>წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. დერჩი</p>	<p>არქიტექტურის / მემორიალური</p>	<p>XIX ს. მეორე ნახ.</p>

	<p>მათე მირიანაშვილის მემორიალური სახლი</p>	<p>წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. დერჩი</p>	<p>არქიტექტურის / მემორიალური</p>	<p>XIX ს-ის მეორე ნახ.</p>
	<p>ქუშხევის არქიტექტურული ობიექტი</p>	<p>თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქუშხევი</p>	<p>არქიტექტურის / არქეოლოგიური</p>	<p>განვითარებული შუა საუკუნეები; გვიან შუა საუკუნეები</p>
	<p>“უზუნკალას” ეკლესია</p>	<p>ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ბოლნისი</p>	<p>არქიტექტურის</p>	<p>XVII-XVIII საუკუნე</p>